თხრობითი ტექსტის გაგება-გააზრება

დაკვირვებით წაიკითხე ტექსტი და უპასუხე შეკითხვებს.

ნიკას არდადეგები

ნიკას ძალიან უყვარს ზაფხული. ზაფხულში ხომ არდადეგები იწყება! ყველაზე დიდი არდადეგები! ნიკა არდადეგებზე კარგ დროს ატარებს. ჯერ სოფელში მიდის, შემდეგ - ზღვაზე.

ნიკას ლამაზი სოფელი აქვს. იქ ბებია და ბაბუა ცხოვრობენ. ზაფხულში ყოველთვის მიდის იქ დასასვენებლად. ბევრს თამაშობს, მდინარეში ბანაობს. სოფელში მისი თანატოლი ბავშვები არიან. ნიკას უყვარს ბავშვებთან თამაში. მას ბევრი მეგობარი ჰყავს. ნიკას ძალიან უყვარს სოფელი.

ნიკა აგვისტოში მშობლებს ზღვაზე მიჰყავთ. ნიკას ზღვაც ძალიან უყვარს. მთელ დღეს ზღვის ნაპირზე თამაშობს, ზღვაში დაცურავს და ფერად კენჭებს აგროვებს. მეგობრებთან ერთად ბევრს თამაშობს. ყველაზე მეტად კი ზღვის ნაპირზე სახლების აშენება უყვარს. საღამოს კი მშობლებთან ერთად სეირნობს ბულვარში.

ნიკას უნდა, რომ სულ ზაფხული იყოს.

LIVEWORKSHEETS

წაიკითხე შეკითხვები. შეარჩიე სწორი პასუხი და შემოხაზე შესაბამისი ასო (ა, ბ ან გ).

1. რატომ უყვარს ნიკას ზაფხული?

ა) ზაფხულში ახალ მეგობრებს ეცნობა.

ბ) ზაფხულში ბებიასა და ბაბუას ეხმარება.

გ) ზაფხულში დიდი არდადეგები იწყება.

2. არდადეგებზე ნიკა მიდის:

ა) მდინარეზე და სკოლაში.

ბ) სოფელსა და სკოლაში.

გ) სოფელში და ზღვაზე.

3. რას ნიშნავს „კარგ დროს ატარებს?"

ა) კარგად დაცურავს.

ბ) კარგად ერთობა.

გ) კარგად მეცადინეობს.

4. ვისთან ერთად თამაშობს ნიკა სოფელში?

ა) ბავშვებთან ერთად.

ბ) ბებიასთან ერთად.

გ) მშობლებთან ერთად.

5. რით ერთობა ნიკა ზღვაზე?

ა) ბებიასა და ბაბუასთან ერთად ერთობა.

ბ) დაცურავს და ფერად კენჭებს აგროვებს.

გ) მშობლებთან ერთად ბევრს თამაშობს.

LIVEWORKSHEETS

6. ყველაზე მეტად ნიკას უყვარს:

ა) მშობლებთან ერთად სეირნობა.

ბ) სილის სახლების აშენება.

გ) ფერადი კენჭების შეგროვება.

7. რა უნდა ნიკას?

ა) სულ ზაფხული იყოს.

ბ) სულ ზღვაზე იყოს.

გ) სულ სწავლა იყოს.

8. მოცემული ტექსტიდან ვიგებთ:

ა) ვინ არიან ნიკას მეგობრები.

ბ) როგორ ისვენებს ნიკა ზღვაზე.

გ) რომელ სოფელში ისვენებს ნიკა.

LIVEWORKSHEETS